სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 07-01/13

,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 1 თებერვლის №06-01/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 მარტის **№06-01/72 დადგენილების,** წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/03, 24/03/2026 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების №1 დანართის (წესის) **მე-3 მუხლის:**

   ა) მე-3 პუნქტის (,,3. უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 6 წლის ვადით შეიძლება აირჩეს:“) **3.1. ქვეპუნქტიდან** (,,2026-2027 სასწავლო წლიდან - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:“) **ამოღებული იქნეს „ე“ ქვეპუნქტი;**
   ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტიდან (,,2025-2026 სასწავლო წლის ჩათვლით - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:“) **ამოღებული იქნეს „ე“ ქვეპუნქტი.**

2. გადაწყვეტილება და **კოდიფიცირებული** „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ნორმატიულ აქტების ველში, ასევე **2026 წლის აპრილში ჩასატარებელი** აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების ველში).
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს,

დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ კარალიძე**